

საპრეზიდენტი

ეროვნული
ბიზნისთემა

საორთული გაზეთი

შაბათი 27 ოქტომბერი 2001 №206 (1479)

ფასი 50 თეთრი

ღვინო ჩვენი, ფეხბურთი თქვენი!

თბილისელებო, ისევე როგორც თბილისში, ისევე როგორც რუსა და მანჩესტერში



ბათუმელებს (თეთრ მაისურებში) ვერც მცხეთაში დაუკლიათ დღემდე რამე „ვიტ ჯორჯიასთვის“ და ვერც შინ

საპრეზიდენტო
საბიუროს
პირველი
პირველი

13
13
13

27 ოქტომბერი, შაბათი

კოლხეთი
ბორჯომი
მთავრები
ლოკომოტივი
ბათუმი
ვიტ ჯორჯია
ბორჯომი
დიდგორი
სიონი
მეგრები
გურია
სამგურალი

მეცამეტე ტურის ანონსი
იხილეთ მესამე გვერდზე

ამ უქმეებზე ფეხბურთის გულშემატკივარი ნაღდად არ მოიწყენს. შაბათ-კვირას მთელ დუნიაზე ბურთს აგორებენ. ვინ, სად და როგორ, ეს სხვა ამბავია. ერთი კია, არჩევანი დიდია.

მაგალითად, თუ ქართულ საკლუბო ფეხბურთზე ჯერ კიდევ გული შეგრჩენიათ, აგერ, დღეს საქართველოს ჩემპიონატის მეცამეტე ტურია, ოღონდ თბილისელები „ცოცხალ“ ფეხბურთს ვერ იხილავენ — ყველა დედაქალაქური გუნდი სტუმრად თამაშობს და წაღვეანდელი „თბილისობაც“ უფეხბურთოდ ჩაივლის. სამაგიეროდ, ფოთში იქნება დიდი ამბავი. ზეექვესეულს დამიზნებული იქაური „კოლხეთი“ ჩემპიონატის დაუმარცხებელ ლიდერს, ქუთაისის „ტორპედოს“ უმასპინძლებს. სანახაობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ კარგა გვარიანი ძიძგილაობა რომ იქნება, ნაღდა.

ბოლოს და ბოლოს, „ბათუმშიც“ ეცდება ნავის გატეხვას. საქმე ისაა, რომ ბათუმელებს თბილისური „ვიტ ჯორჯია“ დღემდე ვერ დაუმარცხებიათ და ვინძლო, შინ, დატბორილ მოედანზე მოახერხონ ეს.

საქართველოდან ევროპისკენ გავაპაროთ თვალი და ვნახოთ, იქ რა ხდება. იტალიაში დერბია და მერე როგორი?!

„სტადიო ოლიმპიკოზე“ 2001 წლის ჩემპიონი 2000 წლის ჩემპიონს დაუხვდება: ფაბიო კაპელოს „რომა“ ალბერტო ძაკერონის „ლაციოს“ წინააღმდეგ. „რომამ“ ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე თავი დაიგულა და ახლა სერია A-ს სატურნირო ცხრილში წასანევადა თავს არ დაზოგავს. ძაკერონის კი სხვა თავის ტკივილიც ანუხებს — ლიგაც და ჩემპიონატიც ერთად.

ინგლისშიც გამორჩეული მატჩია. „მანჩესტერ იუნაიტედი“ პრემიერლიგის ლიდერ „ლიდსს“ ისტუმრებს, რომელიც ბოლო 25 პრემიერლიგურ შეხვედრაში არ დამარცხებულა. ეტყობა, ამადაც არის დიდ გულზე ლიდსელთა მცველი

დენი მილსი, მუქარით რომ ამბობს, „ოლდ ტრეფორდზე“ ჩახმახზე შეყენებული შევალთ, ცხრილის სათავეში ვართ და იქ უნდა დავრჩეთო. ერთი სიტყვით, ასეა. შაბათ-კვირა ფეხბურთისაა. არჩევანი მართლაც დიდია.



„ლიდსი“ — „მანჩესტერი“, „მანჩესტერი“ — „ლიდსი“ — ეს სულ ერთია. ფეხბურთი იყო და იქნება

იტალიის, ინგლისის, გერმანიის და ესპანეთის ჩემპიონატების ტურების ანონსი იხილეთ მერვე-მეცხრე გვერდებზე

გურამ დვინაძე



AP ოსტრიდან

საქართველოს ჩვიდმეტწლამდელო ნაკრების მთავარი მწვრთნელი კობა ჟორჯიკაშვილი რევაზ გაგუასა და ვახტანგ კობალაძის შემდეგ მესამეა, ვინც ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა. თბილისში გამართულ 2002 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ბოსნიისა და ისრაელის ჩვიდმეტწლამდელო ნაკრებების დამარცხებით ქართველმა ჭაბუკებმა ქომაგთ ოდნავ მაინც გამოუკეთეს გუნება, ამ გამარჯვების ერთ-ერთი უმთავრესი შემოქმედი კი, ცხადია, ნაკრების თავკაცი კობა ჟორჯიკაშვილია...

ჩვენც ქართველი ჭაბუკების შესარჩევ ციკლში გამოსვლასა და მომავლის გეგმებზე სწორედ მას გავესაუბრეთ... — ეს წარმატება ბევრს სულაც არ უხარია. არ მინდა, ამ ხალხს ყოველთვის თვალში ვეჩხირებოდე — გვითხრა კობა ჟორჯიკაშვილმა და ინტერვიუზე თავაზიანი უარი გვითხრა, თუმც მოგვიანებით მაინც დავითანხმეთ...



კობა ჟორჯიკაშვილი

ქართული ტაქტიკა უბრალოდ არ არსებობს, დაცვა ცხოვრებაში

— ბოსნია-ისრაელთან მიღწეული შედეგით, ცხადია, კმაყოფილი იქნებით. რას იტყვით თქვენი შევირდების თამაშის ხარისხზე?

— ჩემი აზრით, მწვრთნელი არასოდეს უნდა იყოს კმაყოფილი თავისი გუნდის თამაშის ხარისხით, მაგრამ საქართველოს ჩვიდმეტწლამდელო ნაკრების, თამაშს მეტ-ნაკლებად დაღები-თად შევფასებდი, თუმც ბიჭებს უფრო მეტი პოტენციალი აქვთ, მეტი შეუძლიათ, მაგრამ ბოლომდე თავის წარმოჩენა ვერ შეძლეს. ამას თავისი მიზეზებიც აქვს. ბიჭები ზედმეტად დაძაბულნი იყვნენ, ასეთ დონეზე ქართველი მაყურებლის თვალწინ პირველად თამაშობდნენ. არ უნდა დაგვაგვიწყდეს ისიც, რომ „ლოკომოტივის“ სტადიონი ისევე უცხო იყო ჩვენთვის, როგორც სტუმრებისთვის. ყველაფერმა ამან ჩვენს თამაშზეც იმოქმედა. სხვა-მხრივ, შეიძლება ითქვას, მაინც კმაყოფილი ვარ.

— შეფასეთ საქართველოს ჩვიდმეტწლამდელო ნაკრები ამჟამინდის მიხედვით. დავიწყეთ მეკარეები?

— ზვიად ჩალაძემ ორივე მატჩში საიმედოდ ითამაშა. მართალია, მას დიდი დატვირთვა არ ჰქონია, მაგრამ რივ

კვირებში საკმაოდ თავდაჯერებულად გამოიყურებოდა.

— მცველები...

— იქედან გამომდინარე, რომ გოლი არ გაგვიშვია, სასაყვედურო მათ მიმართ არ უნდა მქონდეს. ბარაბაძეს უკეთესი შთაბეჭდილება უნდა დაეტოვებინა. ის ზედმეტად ნერვიულობდა, განსაკუთრებით საწყის წუთებში. საერთო ჯამში მცველები დამაკმაყოფილებლად გაისარჯნენ, თავისუფლად იგებდნენ ორთაბრძოლებს. განსაკუთრებით მინდა გამოვარჩიო გუნდის კაპიტანი ლაშა ჭვლიძე. მას სხვებთან შედარებით დიდი გამოცდილება აქვს სანაკრებო თუ საკლუბო დონეზე.

— ნახევარმცველებსა, თავდამსხმელებზეც ვთქვათ.

— შუა ხაზმა ორივე მატჩში შრიმატეგადი სამუშაო შეასრულა. მათ მეტოქეები თითქმის ყველა კომპონენტში დაზარეს, თუმც ეს მათი მაქსიმუმი სულაც არ არის. ელიაშვილი, ხოჯავას, კაპანაძეს, კვაპაჩხეს გაცილებით მეტი შეუძლიათ. ელიაშვილმა განსაკუთრებით ბოსნიასთან მატჩში დამამსხოვრა თავი. ნაკრების ფორვარდებთან, სანდრო იაშვილთან და აშირან ყველაშვილთან კი სარტეტნული ყველაზე ნაკლებად მაქვს.

ისინი ორივე შეხვედრაში გამორჩეულები იყვნენ.

— ცხადია, ევროპის ჩემპიონატამდე შეკრების მოწყობას და ამხანაგური მატჩების გამართვას დააპირებთ.

— ნაკრების მოსამზადებელი გეგმა უკვე შედგენილი მაქვს. ჯერჯერობით მერაბ ჟორდანიას თბილისში არყოფნის გამო მასთან შეხვედრას ვერ ვახერხებ. საბოლოოდ ყველაფერი სწორედ სფეის პრეზიდენტთან შეთანხმებით გადაწყდება.

მე აქედანვე შემიძლია გითხრა, რომ თუ ეს გეგმა არ განხორციელდა და ბიჭები სათანადოდ ვერ მოვაშაადეთ, ევროპის ჩემპიონატზე არანაირი შანსი არ გვექნება.

— გამოჩნდება თუ არა ნაკრებში ახალი მოთამაშეები?

— რა თქმა უნდა. მე ვერ კიდევ ვეძებ რამდენიმე პოზიციაზე ფეხბურთელებს. ვესწრები ბავშვთა ლიგის მატჩებს და კანდიდატებს ვინიშნავ. ნოემბრის ბოლოს თბილისში ყველა კანდიდატს მოვიწვევთ და გავსინჯავთ. ვათამაშებთ ამხანაგურ თამაშებს, ჩვეულებრივ ტესტირებას და თუ თავს მოგვაწონებენ, ამას რა აკობებს. ნაკრების კარი ყველასათვის ღიაა.

კახა ზალაშვილი

გერმანია II ბუნდესლიგა. XI ტური ალფინგა 3:2 არმინია უნიონი 0:1 დუისბურგი მაინცი 4:1 შვინფურტი	საფრანგეთი I ლიგა. XII ტური ნანტი 2:0 მონპელიე II ლიგა. XIV ტური ბრესტა 1:0 ნანტი
ჩრდილოეთ რეგიონალიგა XIV ტური ფორტუნა 0:1 მანი ლინკოლინი 3:1 დინამო	პრემიერლიგა I ლიგა. X ტური ფარინგა 0:2 ბანვიკი
სამხრეთ რეგიონალიგა XV ტური შტუტგარტი (მოც.) 1:3 ტრირი	ჰოლანდია I ლიგა. XI ტური როდა 0:1 ნაიმიდენი II ლიგა. XI ტური როსენორდი 0:1 ვოლფენბუტელი
ინგლისი II ლიგა. XVI ტური ბრისტოლი 3:1 ბირმინგემი	ჩეხეთი XII ტური ბრნო 0:1 სპარტაკი
იტალია სერია B. X ტური კალიარი 0:1 რავენა	თურქეთი X ტური მუგლა 3:1 დიარბაქირი
აქლონეთი A ჯგუფი. XIII ტური ზაგლბეი 3:4 ვილზა კატოვიცი 1:1 გურნიკი	

**ფირმების რეგისტრაციის
ოფისური კომპანიები
რუსეთის ვიზები**

მისამართი:
„პირიზა“ გორა სართული
ტელეფონი: 93-52-34, 877 42-20-59

იყიდება
☎ (231) 71758

ბინა ინდივიდუალური პროექტით
შენიშნული რეაბილიტაციის სახლის
მესამე სართულზე. საცხოვრებელი
ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ²
პირველ სართულზე.

ქუთაისში
ირაული აბაშიძის გამზირი №7.
კინოთეატრ „სალიაოსთან“



კახა ზალაშვილი

ბასარკვევი ბაიკვეა უილაკაქე სათვიანი

სამართლებს მეცამეტე ეროვნული ჩემპიონატის პირველ ტურში ქუთაისში ჩემპიონმა „ტორპედო“ ვერცხლის პრიზორ თბილისის „ლოკომოტივს“ უმასპინძლა. მასპინძლებმა მეტოქე მაშინ ვერ კიდევ ტორპედოელი მიხეილ აშვეთასა და ზურაბ იონანიძის ორი გოლით დაამარცხეს.

იქნებ გაგიკვირდეთ კიდევ, ეს მატჩი რომ გავისწავლო, მაგრამ ყველაფერს დაწვრილებით მოგახსენებთ. შეხვედრას ფიფა-ს არბიტრი, თბილისელი ადვოკატი შილაკაძე სჯდა. შილაკაძე ამ მატჩში დაშვებული უნდა შეცდომების გამო ფედერაციამ გაურკვეველი დროით ჩამოაშორა საქმიანობას.



მას შემდეგ თითქმის სამი თვე გავიდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში შილაკაძე უსაქმოდ იყო და ფედერაციის

შეწყალბას სულმოუთქმელად ელოდა. ეს დღეც დადგა გუმწინ ალექსანდრე შილაკაძეს მსაჯობის ნება დართეს და ორ თამაშზე დაინიშნა. მართალია, იგი ვერ მხოლოდ პირველი ლიგის მატჩებზე მიავლინეს, მაგრამ, ალბათ, ამითაც კმაყოფილი დარჩება.

საბოლოოდ, გუშინ პირველი ლიგის მეცამეტე ტურის „ლინაო 2“ — ოსუს-მატჩზე შილაკაძე სათადარიგო არბიტრობას დასჯერდა, 28 ოქტომბერს კი იმავე ტურის „დილა“ — „ცხინვალის“ შეხვედრაში მთავარი მსაჯი იქნება. აქვე ვთქვათ, რომ ამ მატჩში მას სერიოზული შემფასებელი, სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ოთარ გუნთაძე ეყოლება.

კახა ზალაშვილი

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აზია



REUTERS თეირანდან

ირანელთა და საამიროელთა მატჩის ირლანდიელთა მწვრთნელი მიკ მაკარტი სხვა თვალთ აყვირდებოდა

კლემი ოზი. I მატჩი
ირანი ხი საამიროები
10 ბაგერი (45)
50 000 მყურებელი
საპასუხო მატჩი გაიმართება 31 ოქტომბერს
გას შემდეგ, რაც ირანის ნაკრებმა ბაჰრეინის ძლევა ვერ შეძლო, ვაგუფში მეორე ადგილი დაიკავა და პლეი თოფში მატჩი საამიროები ერგო.

ლი მიკ მაკარტი ესწრებოდა, რადგან ამ წველაში გამარჯვებული ირლანდიელებს კორეა-იაპონიის სავსურს შეეცდებოდა იმასაც შეეგასწინებოდა, რომ ამჟამად ირანელებს ხორვატის ნაკრების ყოფილი თავკაცი მიროსლავ ბლაჟევიჩი წვრთნის.

რუდან ბურთს ძლიერად დაჰკრა და ბაღეში ააფრთხალა. 100 ათასიანი სტადიონი სანახევროდ შევსებულიყო. მიზეზი წვიმიანი ამინდი გახლდათ, თუმცა ირანელმა გულშემატკივრებმა მატჩის შემდეგ პატარა ზეიმის მოწყობა მაინც შეძლეს.

ორნი ხარო, არ მოინყენო



სტილიო მლაღენოვი

ბულგარეთის ნაკრების მწვრთნელ სტილიო მლაღენოვს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის გადამწყვეტ მატჩში ჩეხეთთან განადგურება (2:0) არ აპატიეს და თანამდებობიდან გაათავისუფლეს არადა, შესარჩევი ციკლი მისმა გუნდმა ისე დაიწყო, აზიაში გამგზავრების კანდიდატადაც თვლებოდა ამის შესახებ ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა რადოსლავ იანკოლოვმა ხუთშაბათს განაცხადა სტილიო მლაღენოვის კონტრაქტის ვადა ამ წლის 31 დეკემბერს იწურებოდა — სამწუხაროდ, არ დასცდებოდა.

ფედერაციამ ახალგაზრდულის თავკაცი დიმიტარ ალექსიევიც მის გზას გაუყენა. მას კონტრაქტი 2002 წლის 30 ივნისამდე ჰქონდა. რადოსლავ იანკოლოვმა საზოგადოებას ამცნო, ეროვნული გუნდის ახალი მწვრთნელის ვინაობა ორ კვირამდე გახდება ცნობილი. ერთ-ერთ კანდიდატად დიმიტარ დიმიტროვს ასახელებენ, რომელიც ედგა კიდევ სათავეში ნაკრებს 1999 წლამდე. ამჟამად იგი პლოვდივის „ლოკომოტივის“ წვრთნის და მისი გუნდი ბულგარეთის ჩემპიონატში მეორე ადგილზეა.

Table with 10 columns: Team, W, D, L, Goals For, Goals Against, Points. Lists various national teams and their performance in a tournament.

Table with 2 columns: Team, Goals. Shows goal counts for various teams in different stages of a tournament.

Advertisement for 'მერკოსურის თასი' (Mercurius Cup) 24-25 October, featuring a list of participating teams and contact information.

Advertisement for 'რეკლამა სარგებელ-ში' (Advertising in Benefit) with contact details for Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80.

Advertisement for 'შახვაშუროს რუკა-გეგმა' (Chess Map-Plan) featuring a chessboard graphic and text about chess events.

იტალიელმა მეკარემ კრისტიან აბიატიმ „მილანთან“ კონტრაქტი ხუთი წლით გააანგრძლივა. „სან სიროზე“ იგი 2006 წლამდე დარჩება. 24 წლის ვოლკაპერს მიმდინარე კონტრაქტის ვადა მალე ეწურებოდა და ხმები დაიბნა; თითქოს თავისუფალი აგენტის სტატუსით „ბარსელონაში“ აპირებს გადასვლას.

იტალიური სააგენტოების ცნობით, „იუვენტუსი“ მოლაპარაკებას აწარმოებს „მალორკასთან“ და უახლოეს მომავალში შესაძლოა, კამერუნელი თავდამსხმელი სამუელ ეტორო შეიძინოს.

იტალიური სერია A-ს „ტორინო“ მოსკოვის „ლოკომოტივის“ სამხრეთ-თავრეკელი მცველით, იაკობ ლეჩეტივით დინტერესდა. იტალიელი სკაუტები ფეხბურთელს ბრიუსელში „ანდერლეხტთან“ მატჩისას აყვირდებოდნენ.

იტალიური სერია A-ს „ტორინო“ მოსკოვის „ლოკომოტივის“ სამხრეთ-თავრეკელი მცველით, იაკობ ლეჩეტივით დინტერესდა. იტალიელი სკაუტები ფეხბურთელს ბრიუსელში „ანდერლეხტთან“ მატჩისას აყვირდებოდნენ.

დეღეა, კოპერფილი კი არა



იმე დეღეა

ხუთშაბათს უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე სხდომაზე პრეზიდენტის 14 წევრიდან რამდენიმე დაუჭირა მხარი. ასე და ამგვარად, იგი უნგრეთის პირველი ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდა. მისი ყველაზე დიდი მიღწევა ის არის, რომ 1999 წელს „ვეშეგრეში“ ჩემპიონატში მესამე საპრიზო ადგილზე გაიყვანა.

ბესნოშვილი, საქართველოს ნაკრებთან მარცხს უნგრეთის თავკაცი ბერტლანდ ბიჩკი შეეწირა. მას შემდეგ მადარება მთავარი გუნდი დროებით ახალგაზრდული ნაკრების დამრიგებელ იმე დეღეის ჩაბარდა.

მოდალაბე შიშველი ქალი

Table with 2 columns: Team names and scores. Includes teams like 'მეფისთესი', 'რეზანო', 'ბრიშა', etc.

Table with 2 columns: Team names and scores. Includes teams like 'კიევი', 'მილანი', 'ინტერი', etc.



სამონაშაში სიმარტოლის თქმას გამომგვლება არჩია

ამ შაბათ-კვირას იტალიური ფეხბურთის მოყვარულები ნამდვილ-საგონებელში ჩაგარდებიან...

დღეს, შაბათს, რომში დერბია: „რომა“ — „ლაციო“, ხოლო ტურინში „იუვენტუსი“ — „ინტერი“...

საინტერესოა, რომ ამ შეხვედრის წინ „რომას“ სილა გაულაწუნეს და აი, როგორ: ხომ გასსოვთ იტალიელი მსახიობი ქალი საბრინა ფერილი?

ხოლო „ინტერი“, წინა კვირას მილანურ დერბიში დამარცხების შემდეგ, გულშემატკივართა გულის მოგებას ტურინში შეეცდება...

„ბრეშა“ აუტსაიდერ „ვენეციას“ მასპინძლობს და გამორიცხულია წარმატებას არ მიაღწიოს...

Table with 2 columns: XI ტური, დღეს. Lists players and their stats for the XI round.

Table with 2 columns: სადღეისო ვითარება. Lists current standings and scores for various teams.




მაიკლ ოუენი მოსალოდნელზე იღრე ბრუნდება

შაბათ-კვირის აღსრულება

„ჩამპიონობა“ რომ შეგვიძლია, ბოლო ორი სეზონის წარმატებული თამაშით დავამტკიცეთ...

ტურის უშთავერსი მატჩი მანჩესტერში დღეს ნაშუადღევს შედგება და მასპინძლებს, გამარჯვების შემთხვევაში სამსაათიანი გალიდერების შანსი ეძლევათ...

მაგრამ ბოლო 25 საპრემიერლიგო თამაშში ოდენ ერთხელ დამარცხებულ, მიმდინარე სეზონში კი მთლად წაუგებელ „ლიდს“ ცხადია, სხვა გუნდები აქვს და სულაც არ ანაღვლებს, რომ „ოლდ ტრეფორდზე“ 20 წელია არ მოუგია...



დენი მილსი

დას, „ლიდსს“ შტორში ელოდება. სერ ალექსის როტაციის სისტემამ (ორ ლიგაში ორი განსხვავებული შემადგენლობით თამაში) ვერც გაამართლა და თანაც, ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპზე დროზე ადრე გასვლამ ამის საჭიროება დროებით აღმოფხვრა...

კიდევ ერთი მს-ქულიანი „ასტონ ვილას“ შინ „ბოლტონის“ დასვლება და თითქოს უნდა იმარჯვოს კიდევ რაღაც საკუთარ მოედანზე დღემდე მხოლოდ ერთი გოლი აქვს გაშვებული...

დიდი ინტერესს იწვევს შეხვედრა ლონდონის სამხრეთ-აღმოსავლეთში, სადაც „ჩარლტონი“ ჯერჯერობით ისევ ფილ ტომპსონის „ლივერპულს“ სხედება. ისედაც მნიშვნელოვან მატჩს ინტრიგად ისიც გასდევს, რომ სტუდენტთა რიგებში მაიკლ ოუენის დაბრუნება მოსალოდნელია...

შაბათის მატჩებიდან კიდევ ერთს გამოვარჩევთ: „ტოტენჰემი“ — „მიდლსმორი“. ვლენ პოლიის გაგუნა ლონდონურ გუნდზე თანდათანობით თვალმისაცემი ხდება, რაც მტკიცე დაცვისა და მრავალპასიანი კომბინაციების შერწყმით გამოიხატება...

კვირას ორი თამაშია მძიმე დღეში მყოფი „იფსვიჩი“, ჯერ მხოლოდ ერთხელ რომ მოუგია და გასაჯარდნი ზონის ნიახლოვეს ტრიალებს, ბოლო ხანს შოკიდან გამოსულ „ვესტ ჰემს“ მასპინძლობს...

„დერბი ქაუნტი“ კი შუა კვირაში ბოლოსდაბოლოს დამარცხებულ „ჩელსის“ ელის თავის საოუბილო, მეორასე პრემიერლიგურ მატჩში. მას შემდეგ, რაც 1996 წლის აგვისტოში „დერბიმ“ პირველად ითამაშა პრემიერლიგაში („ლიდსთან“ 3:3), ამ გუნდს 60 მოგება დაგროვებია (59 ფრე და 80 წაგება) და რაც მთავარია, ეს ლიგა არ დაუტოვებია ისე არც დიდი წარმატებისთვის მიუღწევია...

Table with columns for time, program name, and ratings. Programs include 'მილიტარული-ლიტერატურული' and 'სტილი-სტილი'.

I ტიპის/ტიპობრივი დრო

Table with columns for program ID, name, and ratings (1/1, 1/X, 1/2, X/1, X/X, X/2, 2/1, 2/X, 2/2).

ტურში გატანილი გოლები - Table listing match results with columns for game number, teams, and scores.

Table with columns for time, program name, and ratings. Programs include 'სულტეი-კომპანია' and 'დაილი ონლაინ-სისტემები'.

Table with columns for time, program name, and ratings. Programs include 'სტილი-სტილი' and 'სტილი-სტილი'.

Table with columns for time, program name, and ratings. Programs include 'სტილი-სტილი' and 'სტილი-სტილი'.

Table with columns for time, program name, and ratings. Programs include 'სტილი-სტილი' and 'სტილი-სტილი'.

Table with columns for time, program name, and ratings. Programs include 'სტილი-სტილი' and 'სტილი-სტილი'.

თასის ალაბა

Table with columns for player name and goals scored. Lists players like 'გიორგი კვიციანი' and 'საბურჯიანი'.

თასის ალაბა და ჩემპიონობა

Table with columns for player name and goals scored. Lists players like 'გიორგი კვიციანი' and 'საბურჯიანი'.

ჯორჯანი და მემკვიდრე

წინასასაზღვრო თამაშების სერიაში ტორონტოს ეწვია „ვაშინგტონ ვიზარდსი“ თვით მაიკლ ჯორჯანის თამაშობით. „ტორონტო რეპტორზმა“ 113:96 მოიგო. ამ ფოტოზე კი ხედავთ, როგორ ეტოქება ჯორჯანს მასპინძელი ვინს კარტერი, რომელიც „ახალ ჯორჯანად“ შეურაცხავს მედიას. ორივე „ჯორჯანი“ ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტში გამოუზრდია დიად მწვრთნელ დინ სმიტს და მსგავსებაც, ალბათ, ამით ამოიწურება. ამ ამხანაგურ თამაშში კი კარტერს 31 ქულა ჩაუგდია, ნამდვილ ჯორჯანს — 22.



REUTERS ტორონტოიდან



REUTERS პარიზიდან

ახალი გეგმა

პარიზში უკვე გამოაქვეყნეს მომავალი წლის „ტურ დე ფრანსის“ მარშრუტი. მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული ველიობოლა ივლისს დაიწყება ლუქსემბურგში, თუ ეტაბად გატყდება და პარიზში დასრულდება. 180-მა ველიობობოლა 3300 კილომეტრი უნდა გაიაროს. ახალ მარშრუტს კი დღევანდელი განთქმული ფრანგი ველიობხედრები რიშარ ვირაზი და ლორან ჟაღაბერი არჩევენ.

სიდნეის პარათონი



REUTERS სიდნეიდან

სიდნეის განთქმული ოპერისა და ხიდის ფონზე დგანან მარათონის ოლიმპიური ჩემპიონი ნათო ტაკაპაში და ახალი სამხრეთ უელსის სპორტის მინისტრი ჯონ უოტკინსი. დიდი ტურისტული ფესტივალისა და სიდნეის მარათონის დღეებში, ნათო ამ მოვლენათა რეკლამირებაში ეხმარებოდა შტატის მთავრობას.

ჩხუბი ღენგერე

ამ, ჩხუბი დენგერის ყინულზე სტუმარ-მასპინძელს შორის. მასპინძელი „კოლორადო ეველანში“ დამრტყმელი სკოტ პარკერი და ვახუვერელი ხოტორა დონალდ ბრაშირი ერთმანეთს წასევიან და სხეებს ძლიერ გაუშველებიათ. წვერთსანისა და უწვერთს ჩხუბში ვინ გაიმარჯვებ, ვერ მოგახსენებთ, თამაში კი მასპინძლებმა მოიგეს 4:1.

REUTERS დენგერეიდან



REUTERS კეიპტაუნიდან

იქვე ნახა

მომბაშის მიაღწია გარსაქვეყნო ნაოსნობის კიდევ ერთმა მონაწილემ, „ამერ სპორტის“ ნაგმა, რომელიც პირველი ეტაპის შემდეგ მეორე ადგილზეა „ილბრუკ ჩელენჯის“ ეკიპაჟის შემდეგ. „ამერის“ ეკიპაჟის ერთ-ერთმა წევრმა, ახალზელანდიელმა გრანტ დალტონმა კი ნაპირზევე აისრულა აუცილებელი ოცნება — თრი დღის წინათ დაბადებული თავისი მესამე შვილი ნოუბუკის კერანზე იხილა. დაილოცოს ინტერნეტი — მამას გული გაუხარა.

სარბიელი
საორტული გაზატი
გამოიცვამა 1990 წლის
28 დეკემბერიდან
გამოდის საგზაბათს,
ოთხგზაბათს, ხუთგზაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ შოგინია
ლიტერატორი ბიორაზი ოქროშვილი
რედაქტორი თამაზ შიგრაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბაჩიაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კობორაძე
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაყიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი

კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია ვია ახალაძე, ვიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოღონაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მია აბოიანიძე, ნათელა ვირგოლიანი, ლალი ვიხლიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევიძე, მაგდა დოგრაშვილი, კანა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომცემი ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბაგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge